

საბედისწერო შემთხვევა

სადარბაზოდან როცა გამოვიდა, ვილაცამ მხარზე დაადო ხელი. მიუბრუნდა და ნილბიან კაცს შეეფეთა. მერე ისლა ახსოვს, რომ ასფალტი მისკენ წამოიწია და სახეში შეეჯახა. გაუკვირდა, ჩემთან ასფალტს რა საქმე აქვსო.

პატარა, ნახევრადმიწურ სარდაფში მოვიდა გონს. კეფა ისე ტკიოდა, თითქოს სამი დღის ნაქეიფარი, პახმელიაზე იყო. თავთან ხელის მიტანა დააპირა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა: ხის ტახტზე ეგდო შებოჭილი, აი ისეთზე, «კუშეტკას», თუ «ატამანკას» რომ ეძახიან. შეეშინდა. რაც ძალა ჰქონდა, ყვირილი მორთო. მის ყვირილზე, ცოტა ხანში, ორი ახალგაზრდა შემოვიდა მიწურში. ერთი შეხედვით 20-22 წლისანი თუ იყვნენ. ერთ-ერთს, მეორესთან შედარებით უფრო მაღალს, თავი გადახორტილი ჰქონდა და შეუღლებავი ჭერიდან ობლად ჩამოკიდული მბჟუტავი ნათურის შუქზე ულაპლაპებდა. მეტის გარჩევა ვაჟამ ვეღარ მოასწრო. თავს წაადგნენ

- გამოდის. – გადაულაპარაკა გადახორტილმა მეორეს.
- აბა სად წავა! – დარწმუნებით მიუგო იმანაც. ვაჟა ტახტიდან წამოსწიეს და პატარა ოთხკუთხა ხის მაგიდასთან, სკამზე გადადეს.
- როგორა ხარ, ბრატ? თავი ხო არ გტკივა?- მიმართა გადახორტილმა ტიპმა ვაჟას, დაიხარა და მხარზე დაადო ხელი.

ვაჟას პირი გაშრობოდა და ენა ვერ აემოძრაებინა საპასუხოდ. ალბათ, გონდაკარგული როცა იყო, ცხვირით ვერ სუნთქავდა და იმიტომაც გამოუშრა ასე პირხახა.

- გიო, მიდი, ერთი წყალი მოუტანე. არ დაიბრიდოს ეს ნაბიჭვარი. – თავი ასწია და თქვა გადახორტილმა.

ის, ვისაც გიო დაუძახეს, ორიოდ წუთით გავიდა ოთახიდან და ჭიქა წყლით ხელდამშვენებული შემობრუნდა. ჭიქა ვაჟას მიუტანა პირთან. მან ჯერ პირი გაისველა, მერე სვენებ-სვენებით დაცალა. გიო ეხმარებოდა.

- სადა ვარ? – შეეკითხა ვაჟა გადახორტილს, როდესაც ენა ისევ ამოიდგა.

იმან გიოს გადახედა და ნაძალადევად გაიცინა.

- ჩვენთან ხარ, ოთარის ვენაცვალე. თუ წესიერად მოიქცევი, მალე გაგიშვებთ, თუ არ დაგვიჯერებ, მაშინ... – მრავლისმეტყველი ჟესტით აჩვენა, რომ ყელს გამოჭრიდნენ.

ვაჟა შეცბა. მომიტაცეს! გაუელვა გონებაში.

- მომიტაცეს? – გაიმეორა ხმამაღლა. – რა გინდათ?

გადახორტილმაცა და გიომაც ისევ ხმამაღლა გაიცინეს. ეტყობოდათ, რომ სიცილით ცდილობდნენ ნერვიულობის დაფარვას. მერე გიომ მშვიდად უთხრა:

- თუ ისე მოიქცევი, როგორც გეტყვით, არაფერი დაგემართება.
- რისთვის მომიტაცეთ? – ისეთი გულუბრყვილობით შეეკითხა ვაჟა ახალგაზრდებს, რომ მათ ამჯერად ალალი სიცილი აუტყდათ.

- აზრზე არა ხარ? – შეეკითხა ვაჟას გიო და მოულოდნელად კარგად მოქნიული სილა სტკიცა.
ვაჟა სკამიდან ჩამოვარდა.
 - მორჩი, რა! აღარ ცემო! – ბრძანების ტონით მიმართა გიოს თავგადახოტრილმა. მერე დაიხარა და ვაჟას დაეხმარა წამოდგომაში. – არა უშავს, ოთარ, გენაცვალე, ამას ყურადღებას ნუ მიაქცევ, ხანდახან იცის ასე...
 - მე ოთარი არა ვარ, ვაჟა ვარ! – მოტაცებული მიხვდა, რომ ამ სახელით მას მიმართავდნენ და გონებაში ახლა სხვა აზრმა გაუელვა: ვილაცაში შეეშალათ. – ვაჟა ვარ, ზედგინიძე...
- ათიოდე წამი ორივე ახალგაზრდა დაკვირვებით მიშტერებოდა ვაჟას. გიომ ხელი წაავლო ნიკაპზე და სახე სინათლისაკენ მოუბრუნა.
- ვაჟა არა, - სკლიხასოვსკი... ოთარა არა ხარ, შენ, გოგიტიძე! – ცოტა არ იყოს შეეჭვებით თქვა გიომ ბოლოს.
- ვაჟამ არ იცოდა, ეტირა თუ ეცინა. ოთარ გოგიტიძეში აერიათ! მილიარდერში! ბანკირში! უმდიდრეს კაცში!

რამდენიმე წუთი არკვევდნენ ვაჟას ვინაობას. მერე ერთმანეთს დაუწყეს გადაბრალება, გინდა თუ არა, შენ შეგეშალაო. ბოლოს ერთ-ერთმა კიდევ ვილაცას დაუძახა გარედან. იმან ვაჟას პირსახეს შუქზე ახედ-დახედა, ბრაზიანად შეიგინა და ორივე ახალგაზრდასთან ერთად ენერგიული ნაბიჯით გავიდა სარდაფიდან. ვაჟა ასევე დატოვეს შებოჭილი. მოგვიანებით, თავგადახოტრილმა ბაწრები შეხსნა, ხელზე ბორკილი დაადო და კიდევ ერთი ჭიქა წყალი მოუტანა. შემოსვლისა და გასვლისასაც კეფაში მუშტი უთავაზა, ისე, რომ ვაჟამ კინაღამ მეორედ დაკარგა გონი. კიდევ ორიოდ საათის შემდეგ გამეტებით გალახეს, გონის დაკარგვამდე. სკამიდან ჩამოაგდეს და ორივე ყმაწვილი წიხლებს სცემდა სახესა და გულ-მუცელში.

ვაჟა მხოლოდ მეორე დილით მოეგო გონს. მწვალებლები მაგიდას უსხდნენ და წყნარად საუბრობდნენ. ვაჟა ყურის დაგდებას შეეცადა. ბევრი ვერაფერი გაიგო, მაგრამ რამდენიმე საგულისხმო ცნობას მაინც მოკრა ყური. გიო - გიორგი აღმოჩნდა, თავგადახოტრილი, - დათო, დათკა. თურმე, გოგიტიძის მოტაცება და ფულის გამოძალვა დაეგეგმათ. კარგა ხანს უთვალთვალეზდნენ. ვაჟას სადარბაზოში გოგიტიძე თავისი საყვარლისათვის ქირაობდა ბინას და კვირაში ერთხელ მაინც სტუმრობდა მას. იმ დღესაც იქ იყო შესული. გარეთ, მერსედესში მცველი და მძღოლი ელოდებოდა. გამტაცებლებმა მცველი შეკრეს და საბარგულში ჩატენეს: იმხელა მუტრუკი იყო, რომ სამასიან მერსედესშიც ძლივს ჩაეტია. მძღოლი საჭესთანვე დატოვეს გათიშული. მერე სადარბაზოსთან მივიდნენ და გოგიტიძეს დაუწყეს ლოდინი. არც ერთსა და არც მეორეს გოგიტიძე ახლოდან

არ ენახა. როდესაც ვაჟას მოკრეს თვალი, იფიქრეს, გოგიტიძე არისო: ტანის აგებულებითა და მიხრა-მოხრით ვაჟა მართლაც ძალიან ჰგავდა გოგიტიძეს. იგი იქვე გათიშეს და საღამოს ბინდ-ბუნდში ქუჩის საპირისპირო მხარეს მდგარ ოპელში ჩაასვენეს.

როდესაც რამდენიმე წუთში სადარბაზოდან გოგიტიძე გამოვიდა, ვაჟა და მისი გამტაცებლები უკვე სამშვიდობოს იყვნენ გასული. გათიშული მძღოლისა და შებორკილი მცველის პოვნისას გოგიტიძეს ისე შეეშინდა, რომ ტროტუარზევე ჩამოჯდა და რამდენიმე წუთს ველარ გაინძრა, მონუსხული იყო. მერე, როგორც იყო მოახერხა მობილური ტელეფონით თავისიანების გამოძახება. გოგიტიძემ ვერ გაარკვია, რა მოხდა სინამდვილეში. ბოლოს დაასკვნა, რომ ამ თავდასხმით ვიღაც აფრთხილებდა და ფარულად დაიწყო მოკვლევა, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ვიღაც. პოლიციისათვის, რასაკვირველია არ უცნობებია, რადგანაც ეს კარგს არაფერს უქადდა: ამ საქმეში, შესაძლოა თვით პოლიციაც ყოფილიყო გარეული.

ვაჟას რაც შეეხება, მისი მოტაცება არავის შეუტყვია. აღარავინ ჰყავდა, ვისაც მისი არყოფნა შეეძლო შეემჩნია: დედ-მამა რამდენიმე წლის წინ გარდაცვლოდა, და-ძმა არასოდეს ჰყოლია, ხოლო ცოლ-შვილი, სიზარმაცისა და უნიათობის გამო, არ გაუჩენია. გოგიტიძისაგან განსხვავებით, ვაჟა არც საქმიანი იყო და არც ფულიანი. იყო თავისთვის, წყნარად, უმცროსი მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე და გაჰქონდა სოფელი ფუჭად: არც საკუთარ თავს ადგებოდა რაიმეში და არც სხვას. ახლა იწვა ბორკილდასხმული ნახევრად მიწურში, თუ ნახევრად სარდაფში და ელოდა მწვალელების განაჩენს. ნაცემ-ნაბეგვს ყველაფერი ტკიოდა. სახეზე სისხლი შეხმობოდა, ტუჩები დახეთქოდა და ტუალეტში ისე უნდოდა გასვლა, რომ ეგონა შარდის ბუშტი გაუსკდებოდა. რასაკვირველია, ეცოდებოდა საკუთარი თავიც.

ტუალეტში გიორგიმ გააცილა. როდესაც შემობრუნდნენ, დაკითხვა მოუწყვეს თვალებში მინათებული შუქით.

- თუ გოგიტიძე არა ხარ, აქ რა გინდა? – ეკითხებოდა ვაჟას გიორგი. - რაზე მოხვედი, სიმონ? მე დაგიბარე? ამან მოგიყვანა? - ხელით მიუთითა დათოზე. – შენ, სიმონ, ეს კაცი რაზე მოიყვანე? თუ რამე პონტია, ეხლავე უთხარი...
- მორჩი, რა ბაზარს! – შეაწყვეტინა დათომ ხელის აქნევით.

გიორგი ბაზარს კი მორჩა, მაგრამ რამდენიმეჯერ წიხლი ჩასცხო ვაჟას მუცელსა და სახეში. მას ხელები ბორკილით ჰქონდა ზურგს უკან გაკრული და თავის დაცვა არ შეეძლო.

მერე დათომ გააგრძელა ტუსალის დაკითხვა:

- რამდენს მოიტანს ოჯახი, წერილი რომ მიწერო?
- არ ვიცი, - ამოდერდა ვაჟამ, - არავინ მყავს ფულის მომტანი...
- კაცო, შენ ფული იშოვე და მოტანით ჩვენ თვითონ მოვიტანთ. - ექიდნურად ჩაიქირქილა დათომ, - სახლში ერთი-ორი ლიმონი გექნება მოლუნული.

ვაჟა თავიდან ვერ მიხვდა, თუ რას გულისხმობდა დათო. მერე, როცა ბოლო ფრაზის აზრს ჩაწვდა, ნაწვალები ღიმილით მიუგო:

- რა ლიმონი, ასი ლარიც არა მაქვს...
- მერე რატო არა გაქვს, შე ბოზო! უ, შენი... - გიორგიმ აღარ დაამთავრა და ისევ წიხლი ჩაახილა მუცელში.

მოკლედ, ორსაათიანი დაკითხვის შედეგად, გამტაცებლებმა შეიტყვეს, რომ ვაჟას არც ფული ჰქონდა, არც ძვირფასი ნივთები და, რაც მათ იმედგაცრუებას კიდევ უფრო ამძაფრებდა, - ნათესავიც არავინ ჰყავდა ფულიანი, ან ფულის მომტანი. დაკითხვის შემდეგ ბიჭები წავიდნენ, ალბათ სათათბიროდ. ვაჟა ტახტზე იწვა და სასოწარკვეთით ტიროდა. ტკივილი ცალკე აწუხებდა და საკუთარი უსუსურობა ცალკე. როდესაც გული იჯერა, მდგომარეობის ანალიზს შეუდგა და ყველაფერი შემთხვევითობას დააბრალა.

გამოსულიყო სახლიდან ათი წუთის შემდეგ, ან ათი წუთით ადრე. საერთოდ არ გამოსულიყო... რა მოხდებოდა? სრულიად შემთხვევით, მისმა სახლიდან გამოსვლამ, როგორც მოვლენამ სამყაროში, სამყაროს სხვა მოვლენათა მიმდევრობა გადაკვეთა... სრულიად შემთხვევით... შემთხვევითობაა მთელი ჩვენი ცხოვრება. იგი ერთმანეთზე მიჯრილ შემთხვევათა აკიდოა, რომელშიც აქა-იქ, იშვიათად თუ გამონათდება საზრისი, გონიერება და მიზანი. განგება - ბრმა. ღმერთი კი... ღმერთი ნეიტრალური დამკვირვებელივით შესცქერის მთელ ამ დავიდარებას და ყველა ფეხზე ჰკილია. წაკითხული ჰქონდა, რომ ფიზიკოს აინშტაინს ეთქვა, ღმერთი კამათელს არ აგორებსო. კამათელს? კამათელს კი არა, ეტყობა სვამს და იჩხირავს კიდევ... გაბრაზდა ღმერთზე. მერე, ომარ ხაიამი გაახსენდა: «მე ღვინოსა ვსვამ და შენ კი თვრები, ღმერთო!». აბა, თუ ღმერთი ფხიზელია და გონზეა, მაშ ვინ აურ-დაურია ეს ქვეყანა ასე? რატომ ვარ აქ? რა უნდათ ჩემგან? საერთოდ, რატომ არსებობს ამდენი უსამართლობა? რატომ არ ჰგავს ადამიანი ადამიანს? რატომ ხოცავენ და ანადგურებენ ერთმანეთს ბუზებივით? რის გაკეთებას შეძლებ, კარგიც რომ გინდოდეს? გამოგივა რამე? ჰმ... ბოროტსა სძლია კეთილმან... როდის? ბოლოს, როცა ეს კეთილი აღარ დარჩება?

ასეთი და მსგავსი სასოწარკვეთილი ფიქრები ხშირად მოსდიოდა შემდეგი დღეების განმავლობაში. ფიქრიდან მხოლოდ მწვალებელთა ვიზიტს თუ გამოჰყავდა. დათო და გიორგი დღეში რამდენჯერმე შემოდრიოდნენ დასახედად. ხანდახან იქვე რჩებოდნენ, რომ ვაჟა გაელახათ და დაემცივებინათ, ან მაგიდასთან თავიანთთვის წამალი მოემზადებინათ გასაკეთებლად. რამდენიმეჯერ ვაჟამაც უცქირა, თუ როგორ გაიკეთეს. შემოიტანდნენ შპრიცსა და კოვზებს, აცხელებდნენ და იკეთებდნენ. ერთხელ, ეტყობოდა რაღაც შეეშალათ და ერთმანეთს შეუტიეს: ან წამალი არ ვარგოდა, ან არ ეყოთ. ვაჟამ ბოლომდე ვერ გაიგო, თუ რაში იყო საქმე: ბიჭები ერთმანეთის ლანძღვა-გინებით გავარდნენ მიწურიდან. ლანძღვას, დედის გინებასა და ცემა-ცყებას ვაჟასაც არ აკლებდნენ. განსაკუთრებით, გიორგი იღებდა თავს. გარდა იმისა, რომ იგი ვაჟას სულ ცემდა და აგინებდა, იმასაც პირდებოდა, შემდეგ მოსვლისას მოგკლავო. ცრუ-მძევალი ამაოდ

ემუდარებოდა გამტაცებლებს, რომ გაეთავისუფლებინათ. პირდებოდა, არაფერს ვიტყვიო და მზად იყო, საერთოდ გადახვეწილიყო თბილისიდან, საქართველოდანაც კი, რომ გამტაცებლებს მისი დაბეზლების შიში არ ჰქონოდათ. ყველაფერზე იყო ხელის მომწერი, თუ გაუშვებდნენ.

გამტაცებლებს ვაჟასი არ სჯეროდათ და არ იცოდნენ რა ექნათ მისთვის. უფულო მძევალს ფასი არ აქვს და იგი არავის სჭირდება. წესით, ვაჟა უნდა მოეკლათ. მეორეს მხრივ, კაცის მოკვლა, მით უმეტეს, როცა ეს არაფერში გარგია, დიდი უაზრობაა. რასაკვირველია, გამტაცებლები კაცის მოსაკლავად მზად იყვნენ, მაგრამ არა ასეთის. გარკვეულწილად, ისინიც უძლურნი იყვნენ წარმოქმნილი მდგომარეობის დასაძლევად და არ იცოდნენ, რა ეღონათ. ისინიც შემთხვევას აბრალებდნენ ყველაფერს და უწმამურად აგინებდნენ განგებასა და თავიანთ ბედს. საკუთარ უსუსურობას, ყოყმანსა და სიბრაზეს ვაჟაზე ანთხევდნენ: აწვალებდნენ და სცემდნენ მას. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც, ძალადობას ხშირად აქვს ადგილი მაშინ, როდესაც ერთი შეიარაღებულია, ღონიერია და მეორე შებორკილი და უძლური. აქ, ადამიანისათვის მხოლოდ ერთი მუხრუჭი არსებობს, მხოლოდ ერთი რამ აკავებს მას: საკუთარი სინდისი. ამ საკითხზე გიორგიცა და დათოც მწყურალად იყვნენ. სინდისის ქენჯნა უდიდესი წამება არის. თუკი სინდისის მსგავსი რამ მაინც შემორჩენოდათ, ამასაც წამლით იქარვებდნენ. თუმცაღა, წამალი რა შუაშია, - მათ ადგილას ვაჟა რომ ყოფილიყო, ალბათ, ისიც ასევე მოიქცეოდა. ძალა და უფლება დიდი ცდუნებაა. ძნელია იყო სხვაზე ძლიერი.

ამ ცემა-ტყეპაში, ლოდინსა და გაურკვევლობაში გავიდა რამდენიმე დღე.

გენიალური იდეა, რომ ისევ გოგიტიძისათვის ეთხოვათ ვაჟას გამოსასყიდი თანხა, არც დათოს ეკუთვნოდა და არც გიორგის. ალბათ იმ მესამემ მოიფიქრა, - მიხვდა ვაჟა. მესამეს სოსოს ეძახდნენ და იგი ამ ორზე უფროსი იყო, უკვე დაკაცებული. სოსო ვაჟას ხელით არ შეხებია, ის კი არა და სიტყვაც არ უთქვამს მისთვის. პატიმართან სულ ორჯერ შემოიხედა: ჯერ თავიდან, როდესაც დარწმუნდნენ, რომ მძევალი შეეშალათ. მეორედ, წერილის დასაწერი ქალაღი შემოიტანა და მაგიდაზე დატოვა. ბიჭებმა ვაჟა მაგიდასთან იხმეს.

- ეხლა, კაროჩე, დაჯექი და მიწერე გოგიტიძეს, მაყუთი მაიტანოს, - მაინც მაგის მაგივრად ზიხარ. - დაუწყო გიორგიმ შებორკილი ხელების განთავისუფლება ვაჟას.
- წერა ხო იცი? - გაელადავა დათო, - თუ აქ ყოფნაში დაგავიწყდა?

ვაჟამ დაბრულებული მაჯები მოისრისა.

- რა დაუწერო?
- მე უნდა გითხრა, რა დაუწერო? ისეთი რამე უნდა დაუწერო, რო თვითონ მოვიდეს და დაჯდეს შენ მაგივრად. თან ღობრათ მაყუთიც მოიტანოს. - აუხსნა დათომ.

- დაბოზება და ჩაშვება არ გაბედოს, თორე... – დაუმატა გიორგიმაც მუქარით.

ვაჟას აღარ უყოყმანია, კალმისტარი მოიმარჯვა და წერას შეუდგა: «პატივცემულო ბატონო ოთარ!» არა, ასე არ ივარგებს, «ღრმადპატივცემულო» აჯობებს. არა, ასეც არ ივარგებს. მლიქვნელობა გამოვა. უბრალოდ, «ბატონო ოთარ»-ს მივწერ. ვაჟამ, დაახლოებით ერთი საათი იწვალა და ბოლოს ასეთი წერილი გამოუვიდა.

«ბატონო ოთარ!

ამ წერილს გწერთ ვაჟა ზედგინიძე, ერთი უბრალო თბილისელი კაცი, რომელიც ბრმა შემთხვევის წყალობით თქვენს ნაცვლად მოხვდა გამომძალველებთან. მათ თქვენი გატაცება სურდათ ფულის გამოძალვის მიზნით და ისე მოხდა, რომ მე გამიტაცეს. მე რამდენიმე წუთით ადრე გამოვედი იმ საღარბაზოდან, საიდანაც თქვენს გამოსვლას ელოდნენ. ამჟამად ვყავართ დატყვევებული და მიპირებენ მოკვლას. მემუქრებიან, რომ, თუკი სამი დღის განმავლობაში არ მივუტან ხუთასი ათას დოლარს, დანით დამკლავენ და ჩემს მოკვეთილ თავს თქვენ გამოგიგზავნიან, გაფრთხილებით, რომ მათი შემდეგი მსხვერპლი თქვენ გახდებით.

უმორჩილესად გთხოვთ და გევედრებით, გამოიმეტოთ ზემოთ აღნიშნული თანხა ჩემსა და თქვენს გადასარჩენად. ამ წერილის მოტანიდან სამ დღეში თანხა მზად გქონდეთ. თქვენ დაგიკავშირდებიან და გეტყვიან, თუ როგორ გადასცეთ ფული. პოლიციას არ აცნობოთ, რადგანაც გამომძალველებს იქ საკუთარი ხალხი ჰყავთ, შეიტყობენ და მაშინვე მომკლავენ. გადარჩენისა და თქვენი კაიკაცობის იმედით, ხვეწნითა და მუდარით,

თქვენი სამუდამო მონა ვაჟა ზედგინიძე»

დათომ წერილი ხმამაღლა, თუმცა ბორძიკ-ბორძიკით წაიკითხა: ვაჟას ნაწერის გარჩევა უჭირდა. მთლიანობაში მოიწონა და ერთი სიტყვა შეასწორებინა: ბოლო «მომკლავენ»-ის მაგივრად «დამკლავენ» ჩაწერა და ვაჟას გადასათეთრებლად დაუბრუნა. წერილი გიორგისაც მოეწონა:

- როდის გითხარი, მოჭრილ თავს გოგიტიძეს გავუგზავნი მეთქი?
- ეგ იმიტომ ჩავწერე, რომ მართლა შეეშინდეს. – იმართლა თავი ვაჟამ.
- ეგებ ერთი ლიმონი გამოვართვათ? – ახლა დათოს შეეკითხა გიორგი.
- ლიმონს არ მოიტანს. – დარწმუნებით უპასუხა დათომ. – ეგ ისეთი ჟოჯკა იქნება, შეიძლება ამაზეც ვაჭრობა დაიწყოს და ეს პატიოსანი კაცი გაიმეტოს.

ბოლოს, ამ საკითხზეც შეთანხმდნენ. ორივე ისე გავიდა, ვაჟასათვის ხელები აღარ შეუკრავთ. ვაჟამ, რასაკვირველია ამით ისარგებლა და ვიწრო სარკმელის გისოსი მოსინჯა. გისოსი მკვიდრად იყო კედელში ჩადულაბებული. მერე კარიც მოსინჯა. კედლებსაც ჩამოუარა კაკუნით. ოთახიდან ბუზიც ვერ გაფრინდებოდა უკითხავად. ბოლოს, ოთახის შუაგულში შეჩერდა და სკამის საზურგეს დაეყრდნო ორივე ხელით. არ გინდა, კაცმა ქრისტეს ასაკს მიაღწიო და ესეთ ოთახში მოგკლას ორმა ნაძირალამ? შემთხვევის გამო!

სიკვდილზე ფიქრს ვაჟა უკვე შეეჩვია. თავისდა მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ უაზრო ტყვეობა უფრო დამთრგუნველი იყო მისთვის, ვიდრე აღსასრული. მოლოდინი და გაუგებრობა, როდესაც არ იცი, თუ რა მოგელის, უფრო მძიმე და მტანჯველი აღმოჩნდა, ვიდრე თვით სიკვდილის შიში. ზუსტად რომ ცოდნოდა, რომ მოკლავდნენ, აღარ ინერვიულებდა და მოემზადებოდა სასიკვდილოდ.

გარდა ამისა, არც ის იცოდა ზუსტად, არსებობდა თუ არა რაიმე იქეთ, გადაღმა, იმ ქვეყნად. არსებობდა თუ არა საერთოდ ის ქვეყანა, საიქიო... ლამაზი სიტყვაა: სა-იქიო. ამის საპირისპიროა: სა-აქიო. რატომ ამბობენ სააქაო-ს? ქატო იქა – ფქვილი აქა... არა, ალბათ მართლაც არსებობს რაიმე სიკვდილს მიღმა, იქეთ. არ შეიძლება ამდენი ადამიანი ცდებოდეს: უძველესი დროიდან მოყოლებული, ამტკიცებენ, რომ საიქიო რეალურად არსებობს. საინტერესოა, თვითონ ვაჟა სად მოხვდება, ჯოჯოხეთში თუ სამოთხეში? არა, ტყუილია ყველაფერი: არც საიქიო არსებობს და არც ჯოჯოხეთი. არც სამოთხე არსებობს, თუ არ ჩავთვლით ამ ქვეყნად კარგად ცხოვრებას, როცა ყველაფერი გაქვს, რაც გინდა და ყველაფერს იღებ, რასაც ინატრებ. ზოგი ამბობს, ასეთი ცხოვრება

უინტერესო არისო. ერთი, ვაჟას მისცენ ასეთი ცხოვრების საშუალება და მერე ნახონ, თუ მოიწყინოს.

თუმცა, რა დროს ესაა, სამ დღეში შეიძლება ღორივით დაკლან... და რისი გულისათვის? უფრო სწორად: ვისი გულისათვის? გაეტაცებინათ ის ჩათლახი გოგიტიძე! ბრაზი მოერია. გოგიტიძე ფულს თუ არ მოიტანს, ვაჟა ამათ შესთავაზებს თანამშრომლობას. წავა და თვითონ მოიტაცებს იმ გოგიტიძეს! ბოლოს და ბოლოს მთელი ცხოვრება ასე ხომ არ ივლის: უფულოდ, უსახლკაროდ, უნორმალურსამსახუროდ, უნაშოდ... ვის უნდა ასეთი უსუსური მამაკაცი? ვის რაში ჭირდება შენი წესიერება? ვთქვათ, მართლაც მოკლეს ამ ძაღლიშვილებმა. რა იცხოვრა? რა ნახა? არაფერი! მთელი ცხოვრება ვირივით მუშაობს და მაინც არაფერი გააჩნია. აბა რისთვის გაჩნდა ღუნიაზე? მის ამ ქვეყნად მოსვლას, ან მის ამ ქვეყნიდან წასვლას რაიმე აზრი აქვს? საკუთარ თავს დაუწყო საყვედურობა და ფილოსოფიურად მიუდგა საკითხს.

რასაკვირველია, ყველაფეში გულახდილი არც ამ გასაჭირისას იყო საკუთარ თავთან: ვირივით მუშაობას რაც შეეხება, ნამდვილად აზვიადებდა. მთელი ცხოვრება ზარმაცობდა, სადღაც იყო გაფორმებული და სინამდვილეში არაფერს აკეთებდა. ახლობელი მეგობარი აღარავინ შერჩა, ვერ ენდობოდნენ, რადგანაც სიტყვის გატეხვა იცოდა. არც წესიერებაზე იკლავდა თავს. ქრთამის ამლებიც იყო, მაგრამ არავინ აძლევდა. ქალებთან საერთო ენას ვერ პოულობდა: ტყუილი და ტრაბახი უყვარდა. საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, უკან იხევდა, იმალებოდა. მოკლედ, დიდი ვერაფერი შვილი იყო. ისეთი ვინმე იყო, რომელსაც თბილისში ბევრს შეხვდები.

ოთარ გოგიტიძეს მუქარის წერილის მიღება არ გაკვირვებია. იცოდა, რომ ადრე თუ გვიან მისი ჯერიც მოვიდოდა: გაზეთები აჭრელბული იყო მსგავსი ისტორიებით და გამოძალვა იმდენად შეჭრილიყო ყოველდღიურობაში, რომ საზოგადოებრივ ცნობიერებაში სერიოზულ დანაშაულად აღარც კი მიიჩნეოდა. წერილი რამდენიმეჯერ წაიკითხა. ინერვიულა, აღელდა, დაფიქრდა და გადაწყვიტა ამ უცნობ კაცს დახმარებოდა. ეს გადაწყვეტილება შიშითაც იყო ნაკარნახევი. თუმცა, ძნელია ამგვარ სიტუაციაში იმის გარკვევა, თუ რის საფუძველზე მიიღება ესა თუ ის გადაწყვეტილება. ერთის მხრივ, გოგიტიძეს მართლაც ეშინოდა. მოძალადენი დღეს თუ

არა ხვალ, მასაც მიწვდებოდნენ. მეორეს მხრივ, მართლაც შეეცოდა ვაჟა ზედგინიძე: გულში კაცური პასუხისმგებლობის, მოქალაქეობრივი სოლიდარობის და უბრალოდ, ადამიანურობის გრძნობა აულაპარაკდა. გოგიტიძე ფულის მომზადებას შეუდგა.

ერთი ც იყო: იგი მდიდარი კაცი კი იყო საქართველოს მასშტაბებით, მაგრამ იმდენი მაინც არ ჰქონია, რასაც აბრალებდნენ და მიაწერდნენ. არასოდეს ყოფილა წუწუკი და ფული ყოველთვის ჰქონდა, მაგრამ გასვლითაც ბევრი გასდიოდა: ნათესავ-მეგობრებით, ეკლესიას, ღარიბ-ღატაკით, ობოლ ბავშვთა სახლებით, საავადმყოფოებით და ვინ მოთვლის, კიდევ რაო. გარდა ამისა, მის ცოლ-შვილს პარიზში შენახვა ხომ უნდოდა? გოგიტიძე ყოველთვის უხვად არიგებდა წყალობას. მის ხარჯზე ბევრი გაჭირვებული, მაგრამ ბევრი მუქთახორაც ირჩენდა თავს. ბევრი, ვინც ამის შესახებ იცოდა, მიიჩნევდა, ფული არაკეთილსინდისიერი გზით აქვს მოპოვებული და მოწყალების გაცემით სინდის-ნამუსს იმრთელებსო. ამ აზრში ნამდვილად იყო სიმართლის ნატამალი: იმ სიღატაკის ფონზე, რომელიც გარშემო სუფევდა, გოგიტიძეს თავისი სიმდიდრე ეხამუშებოდა.

ასეა თუ ისე, ოთარ გოგიტიძემ ფულის გადახდა გადაწყვიტა. თვითონ სოფლელი იყო და თბილისელები დასანახავად ეჯავრებოდა. წერილის ის ფრაზა, რომელშიც ვაჟა თავის თბილისელობას უსვამდა ხაზს, არ ეპიტნავა, მაგრამ მაინც მოინდომა დახმარებოდა გასაჭირში ჩავარდნილ კაცს. ნახევარი მილიონი იმჯერად არ გააჩნდა და დიდ თანხადაც მიიჩნია ამ საქმისათვის. როდესაც დაურეკეს, გამომძალველებს ასი ათასი შესთავაზა. ივაჭრეს და ასორმოცდაათ ათას დოლარზე შეთანხმდნენ. პრინციპში, გოგიტიძემ აღარ გააჯანჭლა, თორემ, ოცი - ოცდაათი ათასიც რომ მიეცა, ბანდიტები იმასაც დაყაბულდებოდნენ, ისე ჰქონდათ თავი მობეზრებული. გადაცემის ადგილი და საათი დათქვეს: ერთ-ერთი პატარა კაფე ფალიაშვილზე, მომდევნო დღის ოთხის ნახევარზე.

ვაჟამ გამომძალველებს ნერვიულობა შეატყო. გუმანით იგრძნო, რომ რაღაც შეიცვალა. მას ჯერ არაფერს ეუბნებოდნენ, რადგანაც ვერ გადაეწყვიტათ, სინამდვილეში გაანთავისუფლებდნენ თუ მოკლავდნენ. მაინც ეშინოდათ, რომ დააბეზლებდა. ის დღე, როგორც იქნა გავიდა. არ უცემიათ. პირიქით, თავ-პირი დააბანის

და გემრიელად ასადილეს. ფულის ასაღებად დათო და გიორგი წავიდნენ. ვაჟა თავის სატუსალოში დატოვეს და ყოველი შემთხვევისათვის, თვითონაც ვერ ახსნიდნენ, თუ რატომ, თვალები აუხვიეს.

იმ მომენტში არავინ უწყოდა, რომ ის ბედისწერა, შემთხვევითობა, თუ განგება, რომელსაც ჩვენს ამბავში უკვე ჰქონდა სერიოზული როლი შესრულებული, კიდევ ერთხელ გამოვიდოდა სცენაზე და მოვლენათა მიმდევრობას სრულიად უაზროდ და სისხლიანად დაასრულებდა. საქმე ის არის, რომ იმ დღეს პოლიციამ რეიდების მოწყობა გადაწყვიტა ქალაქში. პოლიციის ერთ-ერთი კორდონი შემთხვევით(!) იმ კაფეს სიახლოვეს მოეწყო, სადაც ფულის გადაცემა უნდა შემდგარიყო.

გოგიტიძის ახალმა მცველმა, რომელსაც ფულის გადაცემა ჰქონდა დავალებული, ეს კორდონი დაუბრკოლებლად გადალახა, რადგანაც, ჯიბეზე ისეთი საბუთი ჰქონდა, რომელიც ქვას გახეთქავდა და ლამის იყო, ტანკით ქალაქში სეირნობის უფლებას იძლეოდა. აი, ბიჭები კი დააკავეს. საბუთები მათაც კარგი ჰქონდათ, მაგრამ კორდონში მონაწილე ერთ-ერთმა თავგამოდებულმა სერჟანტმა მათი გაჩხრეკა მოინდომა ნარკოტიკულ ნივთიერებათა ამოღების მიზნით და ძველ წითელ ოპელში შეძვრა. ნარკოტიკული ნივთიერება მანქანაში მართლაც იქნა აღმოჩენილი, მით უმეტეს, რომ იგი აქ ნამდვილად იყო. თუმცა, უნდა ისიც ითქვას, რომ ეს ნივთიერება მანქანაში რომც არ ყოფილიყო, მას იქ მაინც აღმოაჩენდნენ. საქმე ის კი არ არის, იპოვნო ნარკოტიკი იქ, სადაც იგი არის, არამედ საქმე ის არის, იპოვნო იგი იქ, სადაც იგი არ არის. ასეა თუ ისე, ორივე ყმაწვილს დაუპირეს დაკავება. დათომ, როგორც კი ეს იგრძნო, «დავაი პლეტიო», შესძახა, ფეხი იშვირა და ისე მოსწყდა ადგილს, რომ პოლიციელებმა გონზე მოსვლაც ვერ მოაწრეს. გიომ გაქცევა ვერ მოასწრო და რეიდის მონაწილეთ შერჩა ხელში. მათაც ისარგებლეს ამ ინციდენტით და ერთი-ორი ისეთი უთაქეს, რომ გიოს მიერ ვაჟას ცემა მონაგონი იყო. იგი მაშინვე გააქროლეს განყოფილებაში, სადაც იგივე პროცედურები გაუგრძელეს, სანამ ვინაობას დაადგენდნენ.

ფულის აღებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. დათომ, რომელმაც მოულოდნელი მანევრის წყალობით დააღწია დაკავებას თავი,

მიიჩნია, რომ გოგიტიძემ საქმეში პოლიცია ჩართო და მახე დაუგო. ამ სიტუაციაში ფულს ვეღარ აიღებდნენ. გარდა ამისა, გიო დაკავებული იყო და არავინ იცის, რას წამოროშავდა. სასწრაფოდ იყო საჭირო ყველა კვალის მოსპობა, რომ არ დამწვარიყვნენ. დათომ ვაჟას, ისე რომ თვალსახვევი არ შეუხსნია, სამი ტყვია ესროლა კეფაში. მერე სოსომ და დათომ ცხედარი დიდ ცელოფანის პარკებში შეახვიეს და თბილისის ზღვაზე ბუჩქებში მიაგდეს. სარდაფი დაასუფთავეს და დანაშაულის ყოველგვარი კვალი მოსპეს.

ოთარ გოგიტიძე გაკვირვებული დარჩა, როცა გამომძაღველები არ გამოჩნდნენ და კიდევ რამდენიმე დღე ამაოდ ელოდა მათ ზარს. მისთვის აღარავის დაურეკავს.

რაც პოლიციის მიერ დაკავებულ გიორგის შეეხება, იგი ერთი საათის შემდეგ დიდი ბოდიშის მოხდით გამოუშვეს განყოფილებიდან და ქალაქის ნებისმიერ ადგილზე მიყვანა შესთავაზეს: უბრალოდ, ზემოდან მამამისმა დარეკა განყოფილებაში. მისი დამკავებელი სერჟანტი მალე ორგანოებიდან დაითხოვეს.

ასე ტრაგიკულად დამთავრდა ეს საბედისწერო ისტორია. ვაჟას გაქრობა არავის შეუტყვია. ორიოდღე თვის შემდეგ, ერთ-ერთი საქალაქო გაზეთის კრიმინალურ ქრონიკაში გამოჩნდა ცნობა, რომ თბილისის ზღვასთან საშუალო ასაკის მამაკაცის მორიგი გვამი იქნა ნაპოვნი.

ლევან გველესიანი
2001 წლის ნოემბერი